სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 43

2014 წლის 13 ივნისი

ქ. თბილისი

,,გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის ჩატარების წესის და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 29 აპრილის N37 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის (276561.13.05.2014) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ,,გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის ჩატარების წესის და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 29 აპრილის N37 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება 2014 წლის 19 მაისიდან 23 ივნისის 24 სთ-მდე. ელექტრონულად დარეგისტრირებული პროექტებისათვის

„პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 30 ივნისის 18 საათისა. ვადის დარღვევით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში აღარ მიიღება.“

2. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge;

3. ბრძანება ძალაშია მისი საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

კარლო ლაფერაძე

გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი